საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1069

18/11/2020

ქ. თბილისი

შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 27 ოქტომბერს სამინისტროს მომართა შპს „მაქს იმპორტის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანება.

სამინისტროს მიერ 2012 წელს შპს „დივას“ ცემენტის წარმოებაზე (ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება, სს „რკინა-ბეტონის“ მიმდებარე ტერიტორია; ს/კ 02.07.02.895) გაიცა №26 (23.07.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №2-786 ბრძანებით, მარტივი ადმინისტრაციული წესით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე 2020 წლის 24 სექტემბრის №2-852 ბრძანების თანახმად შპს „დივასგან“ გადაეცა შპს „მაქს იმპორტს“.

2017 წელს შპს „დივას“ ცემენტის წარმოებაზე (ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება, სს „რკინა-ბეტონის“ მიმდებარე ტერიტორია; ს/კ 02.07.02.896) გაიცა №14 (23.03.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის №2-221 ბრძანებით, მარტივი ადმინისტრაციული წესით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება 2018 წლის 29 ივნისის №2-527 ბრძანების თანახმად ასევე გადაეცა შპს „მაქს იმპორტს“.

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, აღნიშნული საწარმოები მდებარეობს ერთმანეთის მომიჯნავე ნაკვეთებზე და ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებისთვისაც გაცემულია რამდენიმე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს

განცხადებით და მოითხოვოს ამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ გადაწყვეტილებად გაერთიანება. სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წესით იღებს გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „დივას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №ი-786 და 2018 წლის 10 აპრილის №ი-221 ბრძანებები, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2012 წლის №26 და 2017 წლის №14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე (დასკვნა №26; 23.07.2012; დასკვნა №14; 23.03.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „დივა“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის №ი-221 ბრძანება;

   ბ) „შპს „დივას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №2-786 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მაქს იმპორტს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაქს იმპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი